დასავლეთ საქართველოს
საოლქო პროკურატურა

4600 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ.№20 ტელ: 2 405 548; 2 405 516

KARR1371761708423

№13/28-57189 **18 / აგვისტო / 2023 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემოსული, თქვენი 2023 წლის 7 აგვისტოს N6017/3-81/23 მომართვის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2023 წლის 3 აგვისტოს ონის მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ შოვში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში იმავე დღეს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის № 059030823001 საქმეზე, გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველო, ასევე, შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, რომელშიც ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების საგამოძიებო დანაყოფები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით. გამოძიება სწავლობს სტიქიის გამომწვევ მიზეზებს და დამდგარ შედეგს, სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მიერ გატარებულს ღონისძიებებს, სამძებრო-სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე კურორტ შოვის ტერიტორიაზე სტიქიის ზონაში არსებული ინფრასტრუქტურის კანონიერებას და გამოძიებისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს. მიმდინარე გამოძიების პროცესში სამოხელეო ან სხვა რომელიმე დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში მიღებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილება.

გამოძიება მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში. საქმეზე ჩატარებულია 300-ზე მეტი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. დაკითხულია ათეულობით მოწმე, დანიშნულია 40-ზე მეტი ექსპერტიზა, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით გამოძიების პროცესში ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, დაიკითხება საქმესთან შემხებლობაში მყოფი ყველა მოწმე, შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი იქნება ინფორმაცია და ყველა სათანადო დოკუმენტაცია, ასევე დაინიშნება ყველა საჭირო ექსპერტიზა.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დასავლეთ საქართველოს საოლქო
პროკურატურის საოლქო პროკურორი

დავით ჩხარტიშვილი